პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 მაისი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 113 (15326)

ხუთწლედი—ვაკადემდე!

ვიმუშაოთ დამკვრელურად, არ დავუშვათ ჩამორჩენა

მათ თავი ისახელეს



ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყო“ ყოველწლიურად მსოფლიოს 15 ქვეყანაში გზავნის ლაბორატორიულ ავტოტრანსფორმატორებს. ამ ცოტა ხნის წინათ აქ მშრალი ძალოვანი ტრანსფორმატორების გამოშვება აითვისეს.

სურათზე: მოწინავე შემომხვევი მარინე გოგია.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თქვენი სასაღილო

ვ. ი. ლენინი, რომელმაც საზოგადოებრივ სასადილოებს კომუნიზმის ყლორტები უწოდა, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ხაზგასმით აღნიშნავდა მათს უდიდეს როლს შრომითი და მატერიალური რესურსების დაზოგვაში, მომხმარებელთა მომსახურებაში, არასწარმოო და მძიმე საოჯახო შრომისაგან ქალთა განთავისუფლებაში. დღეს საზოგადოებრივი კვება მოსახლეობის შომსახურების დიდი დარგი გახდა — ჩვენს ქვეყანაში თითქმის 250 ათასი მისი საწარმოა, რომლებიც ყოველდღიურად ემსახურებიან დაახლოებით 72 მილიონ კაცს.

განუხრელად იზრდება მოთხოვნები საზოგადოებრივი კვებისადმი. მაგრამ ამ საქმის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიღებულ დადგენილებში დასახეს ვაჭრობის ყველა რგოლის გაუმჯობესებისა და მისი ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებათა ფართო კომპლექსი. შემუშავებულ პროგრამაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასადილოებს, კაფეებსა და რესტორნების ქსელის შემდგომ განვითარებას, მომსახურების კულტურის ამაღლებასა და კერძების ხარისხის გაუმჯობესებას. გათვალისწინებულია ცხელი კერძების მოწოდების ორგანიზაცია თვითეულ საწარმოში, საბჭოთა შეურნეობაში, სასწავლებელში.

ამ ამოცანის შესრულება უბრალო საქმე არ არის, მაგრამ როგორც პრაქტიკა მოწმობს, სავსებით რეალურია. საგულისხმოა, მაგალითად, დონის ორგანიზაციათა გამოცდილება, რომლებმაც ამ ბოლო ხანებში თვითეულ შახტში გახსნეს კარგად მოწყობილი სასადილოები. მარტო ორ წელიწადში უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მუშათა მომარაგების მთავარმა სამმართველომ ააშენა და გააფართოვა საზოგადოებრივი კვების 260 საწარმო. პერმის ოლქში შეფი საწარმოების აქტიური დახმარებით სასკოლო სასადილოების ქსელი ორნახევარჯერ გაიზარდა, რის შედეგადაც კვებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა 80 პროცენტი, ხოლო ქალაქებში — პრაქტიკულად ყველა მოსწავლე.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ურალის მანქანათსამშენებლო ქარხნისა და ურალის ქიმიური მანქანათსამშენებლო ქარხნის მშრომელებმა, რომლებმაც გაშალეს შეჯიბრება საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ორგანიზაციისათვის. ნაკისრ ურთიერთვალდებულებებში ქარხნებისა და კვების სამსახურის კოლექტივებმა განსაზღვრეს კონკრეტული ამოცანები სასადილოთა ქსელის განვითარებისათვის, თანამედროვე მოწყობილობით მათი აღჭურვისა და კადრებით განმტკიცებისათვის, მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვისათვის.

ეს მაგალითები დამაჯერებლად ცხადყოფენ, რომ დიდი შესაძლებლობანი გვაქვს, რათა რაც შეიძლება მალე მოვაწყოთ ცხელი საჭმლის მოწოდება საბჭოთა ადამიანების სამუშაო ადგილას და სახლებში. სამინისტროებმა და უწყებებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან და სავაჭრო დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად უნდა განსაზღვრონ, სად და დაფინანსების რომელი წყაროებით ამუშავდება ახალი სასადილოები, გაფართოვდება და გადაკეთდება მოქმედი, უკეთ როგორ მოაწყონ მოსწავლეთა კვება. დამატებითი სასადილოების, კაფეებისა და რესტორნების გახსნასთან ერთად უნდა ვზრუნავდეთ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სიმძლავრეების უფრო ეფექტანი გამოყენებისათვის, ნახევარფაბრიკატების, კულინარული და ხაკონდიტრო ნაწარმის გამოშვებისა და რეალიზაციის გადიდებისათვის, შეკვეთების სისტემის გაფართოებისათვის. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საკუთარი პროდუქციის წარმოებისა და საქონელბრუნვის გეგმებისა და დავალებების შესრულებას, საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

ბევრი რამ დამოკიდებულია აგრეთვე მომსახურების პროგრესული ფორმების აქტიურად დანერგვაზე. მშრომელებმა მოიწონეს სადამენტო სისტემა, კომპლექსური სადილების კაცომა, წინასწარ გაშლილი სუფრების ორგანიზაცია, რაც პრაქტიკაში შემოიღეს მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიის, თათრეთის ასსრ, კრასნოიარსკის მხარის, სვერდლოვსკისა და როსტოვის ოლქების კვების მოწინავე საწარმოებში. მოწინავე კოლექტივების გამოცდილების გავრცელება ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გარეგნული გაფორმების გაუმჯობესებას, სასადილოების მუშაობის კულტურის მნიშვნელოვნად ამაღლებას, უფრო მოსახერხებელს გახდის მათ მოსახლეობისათვის.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია სოფლად. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, სამომხმარებლო კოოპერაცია მოწოდებული არიან უახლოეს წლებშივე მიაღწიონ იმას, რომ თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში გაიხსნას სასადილოები. ცხელი კერძებს აწოდებდნენ უშუალოდ მემინდვრეთა, მეცხოველეთა, მექანიზატორთა სამუშაო ადგილას. სოფლის მშრომელები კვების საამქროს მუშაკთა განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვენ ახლა. ამ დოლებში, როცა ფართოდ გაიშალა საგაზაფხულო თესვა და მინათმოქმედნი თავდადებით შრომობენ მინდვრებში.

ზაფხულის მოახლოების კვალობაზე სულ უფრო მეტი საბჭოთა ადამიანი მიდის შვებულებაში, თავისუფალ დროს ატარებს ბუნების წიაღში. მთ უფრო სჭირია სანიმშოდ მოეწყოს საზოგადოებრივი კვება ტრანსპორტზე, მასობრივი სეირნობის ადგილებში, ტურისტულ ბაზებზე — ყველგან, სადაც სასადილოების, კაფეების, რესტორნების მუშაობაზე ბევრად დამოკიდებულია მშრომელთა დასვენება.

სკკპ XXIV ყრილობამ სახალხო მეურნეობის ყველა დარგს დაუსახა წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის ამოცანა. ეს ამოცანა საზოგადოებრივი კვების სისტემისთვისაც აქტუალურია. აქ უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება საწარმოთა გადაყვანას ნახევარფაბრიკატებით, საწებლებით, სანელებლით, გაყინული მზა და ნახევრადმზა კერძებით ცენტრალიზებულ კომპლექსურ მომარაგებაზე. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქმის ასეთი ორგანიზაცია ქმნის მზარეულთა შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდების, წარმოების და მიმოქცევის ხარჯების შემცირების, მომსახურების კულტურის ამაღლების შესაძლებლობას. საჭიროა აგრეთვე ვავთარებდეთ ნახევარფაბრიკატებითა და კულინარიული ნაწარმით ვაჭრობას მაღაზიებში, ქარხნის სასადილოების შეკვეთების განყოფილებებსა და საოჯახო სამზარეულოებში.

ერთ-ერთი გადაუდებელი ღონისძიებაა კერძების ხარისხის გაუმჯობესება. იგი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასადილოთა მუშაკების პროფესიული მომზადების დონეზე. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კადრების სწავლებას, საუკეთესო მზარეულთა გამოცდილების გაზიარებას, დარგის საწარმოებში მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამებას. უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ სასადილოთა მუშაობისადმი კონტროლს. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს საზოგადოებრიობა.

პარტიული კომიტეტებისა და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა მხარს უჭერდნენ და ავითარებდნენ მოწინავე საწარმოთა კოლექტივების შემოქმედებითს ინიციატივას, ზრდიდნენ საზოგადოებრივი კვების მუშაკთა კადრებს დავალებული საქმისათვის, საბჭოთა ადამიანების კარგი მომსახურებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

თვითეული სასადილო სოციალისტური ყოფის სანიმუშო კერა უნდა გახდეს!

ПРАВДА

18 მაისის მოწინავე.

შეჯიბრების მოწინავენი

2. 139 ათასი მანეთი მოგება

ჰიათურა. (საკ. კორ.). საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის ქართველი მაღაროელები უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან და წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ჰიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანტრესტის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ოთხი თვის დავალება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი. მარტო პირველ კვარტალში მოგებამ შეადგინა 2.139 ათასი მანეთი, საიდანაც 49 ათასი მანეთი ზეგეგმითია.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ ლენინის, კალინინის, დიმიტროვის, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებიც ზეგეგმით მადანს იძღვევიან.

გეგმა—ყველა მაჩვენებლით

თბილისი. № 1 წისქვილკომბინატმა (დირექტორი ვ. ბებიაშვილი) პირველ კვარტალში ფქვილის გამოშვების გეგმა 106,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო კომბინირებული საკვებისა — 112,6 პროცენტით. აქ გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 5,4 პროცენტით აამაღლეს, მნიშვნელოვნად შეამცირეს დანახარჯები და 28,3 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს. ამ მაჩვენებლებით კომბინატის კოლექტივმა გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა.

საწარმოს კოლექტივმა უკეთ იმუშავა აპრილში. აქ ოთხი თვის გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია ერთ მილიონ 800 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდეს საუკეთესო ხარისხის 3.425 ტონა ფქვილი და 3.529 ტონა კომბინირებული საკვები.

ზეგეგმითი პროდუქცია

თბილისი. მოწინავე იქნება საამქროს ყველა ცვლა, — ასეთი ვალდებულება იკისრა ავჭალის შუშის ქარხნის (დირექტორი გ. ჭელიძე) საღუმელე-სამანქანე საამქროს კოლექტივმა, როცა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ჩაება. მეშუშეებმა პირობა შეასრულეს. განცალკევებულ ოთხი თვის მუშაობის შედეგების შეჯამებისას აღმოჩნდა, რომ საამქროს ყველა ცვლა დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

— ჩვენს ინიციატივას მხარი დაუჭირეს სხვა საამქროებმაც, — ამბობს საამქროს უფროსი დ. გამყრელიძე, — გაზრდილ ვალდებულებებს კისრულობენ ცვლები, ბრიგადები, ცალკეული ოსტატები; მოწინავეთა შრომის ნაყოფიერების დონემდე ავიყვანოთ თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება, — ასეთია ამ ახალი შეჯიბრების დევიზი.

შეჯიბრების კარგმა ორგანიზაციამ ქარხნის კოლექტივს საშუალება მისცა ოთხ თვეში 2,3 პროცენტით გაეზარდა შრომის ნაყოფიერება და გადაჭარბებით შეესრულებინა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებანი. მეშუშეებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 34 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინეს 56 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, მომხმარებელმა მიიღო 416 ათასი ცალი ზეგეგმითი ბოთლი.

პიონერიის ოქროს იუბილე

ა. ფედულოვა,

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

□

კომკავშირელები და პიონერები, მთელი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავის შესახებ“. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა პიონერიის ისტორია განუყოფელია ჩვენი ხალხის გმირული ისტორიისაგან. იგი ნათლად ადასტურებს ლენინურ აზრს იმის შესახებ, რომ ბავშვთა ორგანიზაციათა კომუნისტურ აღზრდის საუკეთესო გზაა. ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ნახევარი საუკუნის მანძილზე ეს გზა 150 მილიონზე მეტმა მოსწავლემ გაიარა.

პარტია შეუნელებელ თვალ-ყურს ადევნებდა ბავშვთა ორგანიზაციის შექმნას, მის საქმიანობას წარმართავდა იმ გზით, რომ ნორჩი თაობისათვის ჩაენერგა კომუნისტური იდეალები. ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ჩასახვა და განვითარება ჩვენს ქვეყანაში მტკიცედ არის დაკავშირებული კომკავშირთან და ხორციელდება პარტიის მუდმივი ხელმძღვანელობით. წითელი ყელსახვევი ხომ კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების ერთიანობის რეალური სიმბოლოა.

ნორჩ პიონერთა პირველი რაზმი 1922 წლის თებერვალში შექმნა მოსკოვის კრასნაია პრესნიას მე-16 სტამბასთან არსებულმა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის უჯრედმა.

1922 წლის 19 მაისს რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის მე-2 კონფერენციამ დადგინა, რომ რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სხვა ორგანიზაციებშიც გავრცელებინათ მოსკოვის ორგანიზაციის გამოცდილება ნორჩ პიონერთა რაზმების შექმნაში. კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა იმავე ღღეს შექმნა სპეციალური ორგანო — ნორჩ პიონერთა ცენტრალური ბიურო ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის, ასე გახდა 19 მაისი პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე.

მას შემდეგ ორგანიზაციის ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიასთან. პიონერიის ნახევარი საუკუნის გზა აღსავსეა პატრიოტიზმის, თავდადების, ნამდვილი გმირობის მაგალითებით. პიონერული ორგანიზაციის სახელოვან მატიანეში სამუდამოდ შეტანილია ნორჩი გმირების პავლიკ მოროზოვის, კოლია მიაგოტინის, გრიშა აკოპიანის სახელები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმის გამარჯვებას, შეტანილია აგრეთვე პარტიზანი პიონერების — საბჭოთა კავშირის გმირების ლონია გოლიკოვის, ვალია კოტიკის, მარატ კაზეის, ზინა პორტნოვას სახელები, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

პიონერული ორგანიზაციის ღირსშესანიშნავ თარიღს მოზრდილებიც აღნიშნავენ. ბევრმა მაგალამა ხომ პიონერული ისტორიისთან. პიონერიის ნახევარი საუკუნის გზა აღსავსეა პატრიოტიზმის, თავდადების, ნამდვილი გმირობის მაგალითებით. პიონერული ორგანიზაციის სახელოვან მატიანეში სამუდამოდ შეტანილია ნორჩი გმირების პავლიკ მოროზოვის, კოლია მიაგოტინის, გრიშა აკოპიანის სახელები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმის გამარჯვებას, შეტანილია აგრეთვე პარტიზანი პიონერების — საბჭოთა კავშირის გმირების ლონია გოლიკოვის, ვალია კოტიკის, მარატ კაზეის, ზინა პორტნოვას სახელები, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

პიონერთა საიუბილეო სამზადისი. ხ. კილაძის ფოტო.

საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრიობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მოსწავლეთა თავისუფალი დრო იყოს საინტერესო, სასარგებლო. ჩვენს ქვეყანაში ახლა არის თითქმის 3.870 პიონერთა სასახლე და სახლი, 600-ზე მეტი ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, დაახლოებით 440 ნორჩ ნატურალისტთა სადგური, 10 ათასზე მეტი ქალაქგარე პიონერთა ბანაკი. ბავშვებთან დიდ აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან მუშათა კლუბები, სადაც შექმნილია ბავშვთა თვითმოქმედი წრეები — ხხაგრული, ტექნიკური, სპორტული წრეები. ბავშვებისათვის ღია 4.500-ზე მეტი მუსიკალური და სამხატვრო სკოლის კარი, რომლებშიც 760 ათასზე მეტი ბავშვი მეცადინეობს.

პიონერთა განკარგულებაშია აგრეთვე ბევრი „მოზრდილი“ ტექნიკაც. ნორჩ მეზღვაურთა კლუბებს აქვთ სამდინარო და საზღვაო გემები, ნორჩ რკინიგზელთა კლუბებს აქვთ თავიანთი რკინიგზები. საყურადღებოა, რომ ბევრ შემთხვევაში ბავშვთა გარეთობა სცილდება თამაშის ფარგლებს და იძენს ნამდვილი შემოქმედების, მომავლის პროფესიის ნიშნებს, განამტკიცებს მუშური თუ სოფლური პროფესიის დაუფლების სურვილს.

კომკავშირი განუწყვეტლივ აფართოებს პიონერებთან მუშაობის ფორმებს, ანიჭებს მას არა მარტო მიმზიდველობას, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ხასიათს. აი რამდენიმე მაგალითი.

ლენინგრადში ქარხანა „რუსული დიზელის“ კომკავშირელები შეფობას უწევენ 102-ე სკოლას. შეფების დახმარებით სკოლაში შექმნილია კოსმონავტიკის დარბაზი. კომკავშირელები მოსწავლეებს ეხმარებიან ტექნიკური შემოქმედების წრეების მეცადინეობაში. სკოლაში ეწყობა ბავშვების ხელით დამზადებული მოდელების გამოფენები. თურქმენეთის დაბა ტაზა ბაზარის პირველი სკოლის პიონერებმა და მოსწავლეებმა გაიმარჯვეს „მცირე ტიმირიაზეველთა“ სრულიად საკავშირო კონკურსში და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრემია დაიმსახურეს. ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყვანაში ბავშვებს დაეხმარნენ შეფები — კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ წევრები.

ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო რამდენიმე წელია ხელმძღვანელობს ნორჩ ფიზიკოსთა სკოლას. ქალაქ პეტროზავოდსკის პიონერებისათვის შექმნილია „მცირე სატყეო აკადემია“, რომელსაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კარელიის სატყეო ინსტიტუტის ფილიალის კომკავშირელები ხელმძღვანელობენ.

უკანასკნელი წლების სრულიად საკავშირო პიონერულმა საქმეებმა — რაზმეულთა დათვალიერებებმა „იციმციმეთ, ლენინური ვარსკვლავებო!“, ეკსპოზიციამ „ლენინის ანდერძის ერთგულნი“, რაზმეულთა სრულიად საკავშირო მარშმა „მუდამ მზად ვარ!“, სამხედრო-სპორტულმა თამაშმა „ციცაკრმა“ — ბავშვებს აღუძრეს ინტერესი ხალხის შრომითი საქმეებისადმი, მოსწრაფება მიბაძონ უფროსთა მაგალითს.

პირველი ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები და გაერთიანებანი შეიქმნა ჯერ კიდევ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიცოცხლეში. მათი შექმნიო, ზრდით დაინტერესებული იყვნენ სახელმწიფოს თვალსაჩინო ხელმძღვანელები. მოზარდი თაობის საგანიერებებისადმი, ინტერესებისადმი ყურადღება ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული გახდა. ხშირად პიონერთა რაზმეულების შეკრებებზე გამოდიან მხედართმთავრები, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები, თვალსაჩინო წარმოების მუშაკები, რომლებიც საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების საფუძველზე ხელს უწყობენ ნორჩი თაობის აღზრდას და უნერგავენ მათ მოსწრაფებას იყვნენ კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები.

ბავშვებთან მუშაობაში მონაწილეობს არა მარტო სრულიად საკავშირო აღკკ, არამედ აგრეთვე პროფკავშირები, არმიისა და ფლოტის პოლიტორგანოები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება, სპორტული საზოგადოებები, შემოქმედებითი კავშირები. საკავშირო გასაგები მათი მუდმივი ყურადღება ბავშვების ინტერესებისადმი, ზრუნვა მოზარდი თაობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთის მომავალი ხომ, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, იქნება ისეთი, როგორსაც მას შექმნიან დღევანდელი ოქტომბრელები, პიონერები და კომკავშირელები.

(საკდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი

15 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ი. **ბავლეკა**. გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო პაკისტანის ელჩი

15 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო პაკისტანის ელჩი სსრ კავშირში ხ. ხ. **დეჰლავი** და მეგობრულად ესაუბრა მას.

საქმეცნიერო-თეორიული კონფერენცია

15 მაისს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-თეორიულმა კონფერენციამ თემაზე „ახალი მოვლენები მსოფლიო რევოლუციურ მუშათა მოძრაობაში კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირის შემდეგ“.

კონფერენცია ეწყობა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მრავალმხრივ თანამშრომლობის საპრობლემო კომისიის „მუშათა კლასი მსოფლიო რევოლუციურ პროცესში“ საქმიანობის ფარგლებში. სხდომებში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერ-კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელები.

შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა. (საკდესი).

საქართველოს კომკავშირის სტუმრები

ქართველ კომკავშირელებთან სტუმრად არის ფინეთის პოლიტიკური ახალგაზრდული კავშირების ხელმძღვანელობის გაერთიანებული დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფინეთის პარლამენტის დეპუტატი, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ცენტრალური კავშირის თავმჯდომარის მოადგილე მატი აპდელეგაციაში შედიან ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფინეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე პეკკა საარნიო და ქვეყნის პოლიტიკური ახალგაზრდული ორგანიზაციათა სხვა ლიდერები.

15 მაისს საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი შეხვდა დელეგაციის წევრებს. იგი გულთბილად მიესალმა სტუმრებს.

ჯ. პატიაშვილმა ფინეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს გააცნო საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მრავალმხრივი საქმიანობა, რომელიც ნახევარ მილიონზე მეტ წევრს აერთიანებს.

საქართველო, განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა მატი აპდემ, გულითადად შეგვხვდა. გულთბილმა მასპინძლობამ ჩვენს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან შეხვედრები სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის. მაგრამ უკვე ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრი რამ საინტერესო შევიტყეთ ქართველი ახალგაზრდობის ცხოვრების, შრომისა და სწავლის შესახებ.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე რ. გოგლიძე და სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ლ. პაუნინი.

ამავე დღეს ფინელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები ეწვივნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის სხდომაში. (საქინფორმი).

ქრონიკა

ნ. ივანოვი, ნ. მატკოვსკი „მარქსიზმის დიდი ფუძემდებლები“. მოსკოვის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმის ექსკურსიამძღოლის ახალი, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. მისი ავტორები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მუზეუმის შექმნაში, ვრცელი ფაქტიური მასალის საფუძველზე ასახავენ საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადებისა და მასწავლებლების ცხოვრებას, მათს ერთობლივ მუშაობას მეცნიერული კომუნიზმის თეორიის შექმნაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1972 წლის 14 მაისს მძიმე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა დრამატურგი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი

ალექსანდრე ევდოკიმოს-ძე კორნეიჩუკი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დიადი იუბილეს შესახვედრად

ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები

გორი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა თემატური საღამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

„ბალტიისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები" (გეოგრაფიული მიმოხილვა), „ლატვის, ლატვიის და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელთა მიღწევები ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში", „ქართველი ხალხისა და ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ძმური მეგობრობის ისტორიიდან" — მოხსენებებით გამოვიდნენ ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები შ. ხუციშვილი და ზ. კეცხოველი და პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პარტიული განათლების კაბინეტის გამგე ნ. ბომასურიძე.

დასასრულ ნაჩვენები იქნა კინოსურათი.

ახალციხე. (საკ. კორ.). ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სასოფლო კლუბში კითხვა-პასუხის საღამო მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

დამსწრეთ — სსრ კავშირის შექმნის, საერთაშორისო ურთიერთობის, სსრ კავშირის კონსტიტუციის, კოლმეურნეობის წესდების და სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით შემოსულ შეკითხვებზე პასუხი გასცეს საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მექვაბიშვილმა, მიწათმომწყობმა ე. გოგოლაძემ, პროკურორმა მ. ნადირაძემ, რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ს. მაკაუტაძემა და ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ს. ქაჯაჩიშვილმა.

ფოთი. (საკ. კორ.). ბევრ კარგ ღონისძიებას ახორციელებს ნავსადგურის პარტიული კომიტეტი (მდივანი ი. მამალაძე) სსრ კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ნავსადგურის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა და საზოგადოება „ცოდნის" ნავსადგურის ორგანიზაციამ მოაწყეს მუშა-მოსამსახურეთათვის თემატური კითხვის საღამო თემაზე — „სკკპ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ორგანიზატორია". მოხსენებით გამოვიდა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ლაკაია.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ძველმა ბოლშევიკებმა, შრომისა და ომის ვეტერანებმა. აღსანიშნავია, რომ თემატურ საღამოებს ხშირად ესწრებიან ბულგარელი, იუგოსლავიელი და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების მეზღვაურები.

ხაშური („კომუნისტის" კორ.). ამას წინათ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით აქ ჩატარდა რაიონის პარტიული განათლების ქსელის პროპაგანდისტებისათვის თეორიული კონფერენცია.

პროპაგანდისტებმა მოისმინეს სახალხო განათლების განყოფილების გამგის კ. ნადირაძის, სურამის გ. დიმიტროვის სახელობის ბავშვთა სახლის დირექტორის ვ. აღაჯანაშვილის, სახალხო განათლების მეთოდური კაბინეტის გამგის მ. კოშკაძის მოხსენებები თემებზე: „სსრ კავშირის შექმნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა" „სკკპ — საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი", „სკკპ XXIV ყრილობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ".

რ. ხუხიაშვილი.

ხობი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოდაწესებულებებში ტარდება ლექციები და მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები.

ამას წინათ გაიმართა აგიტპუნქტის გამგეების, აგიტკოლექტივებისა და პოლიტინფორმატორთა ჯგუფების ხელმძღვანელების რაიონული თათბირ-სემინარი, რომლის მონაწილეებმა იმსჯელეს ამაზე, თუ როგორ მოაწყონ უკეთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა, რაიონის კულტურის სახლში, სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკაში, ჭალადიდის, ქვაღონის, „კოლეხეთის", „განთიადის" საბჭოთა მეურნეობების მუშათა და საკოლმეურნეო კლუბებში მოწყობილია საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი თემატური გამოფენები. ხალხთა მეგობრობის ამსახველი ფოტოსურათები.

ჩოხატაური. (საკ. კორ.). სსრ კავშირის შექმნის 50 წლისათვის ღირსეულად შეხვედრისათვის ენერგიულ მუშაობას ეწევა სოფელ შუა განსახლების საზოგადოება „ცოდნის" პირველადი ორგანიზაციის ლექტორთა ჯგუფი.

ამ დღეებში ლექტორთა ჯგუფის ძალებით წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „სსრ კავშირის შექმნის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი", „საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ზრდა მეცხრე ხუთწლედში", „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში". ლექციებს ატარებენ ლექტორები გ. სიხარულიძე, ს. ჯიბუტი რ. სიხარულიძე და სხვ.

ქარბად იშრომეს ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველებმა. მათ დათესეს 400 ჰექტარი სიმინდი. აქედან ნახევარი პირუტყვის მწვანე საკვებად დაითესა, ხოლო დანარჩენ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე უნდა მიიღონ 30 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 20 ცენტნერისა. **სურათზე:** კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ჩ. გუხეინოვი (მარჯვნივ) და მოწინავე მექანიზატორი ტ. ყურბანოვი ამოწმებენ სიმინდის თესვის ხარისხს.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გარდამავალი დროშა თელაველ მეხილეებს

თელავი. (საკ. კორ.). წარმატებით იშრომეს შარშან რაიონის მეხილეებმა. მათ გეგმით გათვალისწინებული 1.100 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.068 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი. ხილის წარმოებასა და დამზადებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებით საქართველოს სსრ რაიონების რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მეხილეობაში მეორე ჯგუფის რაიონებს შორის მოიპოვა თელავის რაიონმა.

ამ დღეებში გამართულ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ შეკრებაზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. მცდლაშვილმა შეკრებილთ მიაწოდა მაღალი ჯილდო და საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველ მდივანს ა. ბატიაშვილს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

შეკრების მონაწილეებმა ახალი, გაფიდებული ვალდებულება იკისრეს 1972 წელს ხილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის.

პარტიული ქრონიკა

იდეოლოგიური მუშაკების სოფლიო თათბირი

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის საოლქო კომიტეტში გაიმართა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეების, პრესის, რადიოს, საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციებისა და სხვა იდეოლოგიურ დაწესებულებების მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა პოლიტიკური განათლების სისტემაში 1971-1972 სასწავლო წლის შედეგების შეჯამების საკითხებს.

თათბირი გახსნა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა მ. ქაჯაია.

ამ. მოხსენებით გამოვიდა აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა. ტაკიძე. ინფორმაციები გააკეთეს და კონკრეტულ საკითხებზე ილაპარაკეს ბათუმის, ქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. კალანდაძემ, ქობულეთის, ხელვაჩაურის და ხულოს რაიკომების მდივნებმა ლ. რუხაძემ, ქ. შერვაშიძემ, ნ. აბულაძემ, სახალვაო სანაოსნო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ დ. ჭელიძემ და სხვებმა.

თათბირმა ყურადღება გამახვილა როგორც შემაჯამებელ მეცადინეობათა მაღალ დონეზე მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარებისა, ასევე ახალი სასწავლო წლისათვის სახალხო განათლების საკითხებზე. ინფორმაციებიდან ... ეტაპზე ... ეტაპზე ... ...

რომი მეგობრული ვიზიტი

15 მაისი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა მიიღო აქ მეგობრულ ვიზიტად ჩამოსული სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

ა. ა. გრეჩკო ესაუბრა აგრეთვე პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს მუჰამედ ამმედ სადეკს.

გონი საარსებო მოთხოვნა

15 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოთხოვნაა, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს.

ამ აზრს ახლა გამოთქვამენ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, პროფკავშირების, ახალგაზრდათა და სტუდენტთა ორგანიზაციების ლიდერები.

გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. მისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე შევიდეს ძალაში მოსკოვსა და ვარშავაში ხელმოწერილი ხელშეკრულება.

დასავლეთ გერმანიის კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების, ყველა რეალისტურად მოაზროვნე მოქალაქის ერთობლივი მოქმედების შედეგად, თქვა მან, შეიძლება მივაღწიოთ ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის და ამავე დროს მოვიგერიოთ რეაქციის თავდასხმები, რომელიც ცდილობს ხელი შეუშალოს დაძაბულობის შენელებას და უშიშროებას ევროპის კონტინენტზე.

როგორც გაზეთი „დოიჩე ფოლქსციტუნგი“ წერს, რკინიგზელთა პროფკავშირის ესენში გამართული ახალგაზრდული კონფერენციის დელეგატებმა მოუწოდეს მთავრობასა და ბუნდესტაგის პოლიტიკურ პარტიებს დაამტკიცონ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიისა და პოლონეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებანი.

ვილი ბრანდტის გამოსვლა

15 მაისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ვილი ბრანდტმა, რომელიც გამოვიდა დანის ქალაქ ობენროში სოციალ-დემოკრატების მიტინგზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულებანი დახასიათა, როგორც წვლილი ევროპის ჭეშმარიტ მშვიდობისა და ურთიერთგაგების საქმეში.

აღნიშნა რა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში ჯერ არ უყრია თავი ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხისათვის, ბრანდტმა თქვა, რომ მისი, როგორც მთავრობის მეთაურის, მოვალეობა იყო მიეცა პარლამენტის ოპოზიციისათვის დრო ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისათვის.

ᲐᲛᲯᲔᲯᲘ

● **დასავლეთ ბერლინში** დასავლეთის სამი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლებამ აკრძალეს ნეონაციონალური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თავყრილობა.

● **სენატორმა ურბიუპლუმ**, რომელსაც დაევალა თურქეთის ახალი მთავრობის შექმნა, განაცხადა, რომ ქვეყნის პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები დადებითად მოეკიდნენ წინადადებას მონაწილეობა მიიღონ მთავრობაში.

● **ინგლისის პრემიერ-მინისტრმა** ე. ჰიტმა თემთა პალატაში გამოაცხადა, რომ ინგლისი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეთანხმდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტების გაცვლის თაობაზე.

● **ინდონეზიის პრეზიდენტი** სუხარტო, რომელიც არაოფიციალურ ვიზიტად იყო იაპონიაში, სამშობლოში გაფრინდა. იაპონიაში ექვსი დღის ყოფნის დროს იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას პრემიერ-მინისტრ ე. სატოსთან და იაპონიის მთელ რიგ სხვა ხელმძღვანელებთან, შეხვედრების დროს განიხილეს ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხები, საერთაშორისო პრობლემები და მდგომარეობა აზიაში.

● **შეერთებული შტატების** ვიცე-პრეზიდენტი ს. აგნიუ, შეხვდა იაპონიის პრემიერ-მინისტრ ე. სატოს. ს. აგნიუ ტოკიოში ჩავიდა, რათა მონაწილეობა მიიღოს იაპონიისათვის ოკინავის ადმინისტრაციულ უფლებათა გადაცემის ცერემონიაში.

● **შეერთებული შტატების** გამოძიების ფედერალური ბიურო სულ უფრო აძლიერებს ამბიციელთა პირად ცხოვრებაში შეღწევას. „დამნაშავეობასთან ბრძოლის“ საბაბით გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა მარტო შარშან საუბრებისა და ტელეფონით ლაპარაკის მისაყურადღებელი 1.042 ელექტრონული მოწყობილობა დადგეს.

● **ბასული ფლის** შედეგების მიხედვით შეერთებული შტატების ყველაზე დიდი კორპორაციაა საავტომობილო კონცერნი „ჯენერალ მოტორსი“, რომლის პროდუქციის ღირებულებამ 28 მილიარდი დოლარი შეადგინა. 1971 წელს 500 უდიდესი კომპანიის პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 503 მილიარდი დოლარი, ანუ მთელი სამრეწველო პროდუქციის 66 პროცენტი. ამ კომპანიათა ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობს 14.825 ათასი კაცი. ამერიკის უდიდესი ბანკების ხუთეულს სათავეში უდგას „მენეჯ ოფ ამერიკა“, რომელის აქტივშია 34 მილიარდი დოლარი. ყველა ყველაზე დიდი სავაჭრო კომპანიაა „სირს, რობაკ ენდ კომპანი“, რომელმაც შარშან გაყიდა 10 მილიარდი დოლარის საქონელი.

ᲕᲐᲥᲜᲘᲡ

ბელ ფასტი კვლავ სისხლი ᲘᲚᲕᲠᲔᲑᲐ

15 მაისი. (საკდესი). დახოცილია მ კაცი და დაჭრილია 60-ზე მეტი — ასეთია იმ სისხლისმღვრელი ამბების შედეგები, რაც უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში მოხდა ბელფასტში.

მარტო გუშინ ქალაქში რეგისტრირებული იყო „უშიშროების ძალებისა“ და პროტესტანტი ექსტრემისტების 100-ზე მეტი შეტაკება კათოლიკური გეტოების მცხოვრებლებთან. მათგან ყველაზე დიდი შეტაკება დაიწყო მას შემდეგ, რაც ბელიძერთის კათოლიკური რაიონში კაფეში მომხდარი აფეთქების დროს დაიჭრა 60 მცხოვრები.

ფიქრობენ, რომ ნაღმი იქ ჩადეს პროტესტანტმა ულტრებმა. აფეთქების შემდეგ კათოლიკურ უბნებს სეტყვასავით დააყარეს ტყვია, რისი მსხვერპლიც გახდა სამი მცხოვრები.

ᲐᲛ ᲔᲠᲗ-ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲐᲛᲮᲠᲗᲘ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აგრესიული აქტების შედეგად მკვეთრად დაეცა აქციების კურსი ნიუ-იორკის ბირჟაზე და კიდევ უფრო გაამწვავა მსოფლიო სავალუტო-საფინანსო კრიზისი.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკელ მონოპოლიათა რუპორი ჟურნალი „ფორჩუნი“ აქებდა „ყოვლისმძლე“ ამერიკას და მკითხველებს არწმუნებდა, შეერთებული შტატებს შეუძლია ერთდროულად ჰქონდეს ზარბაზნებიც და კარაქიც. ცხოვრებამ სასტიკად დასცინა ასეთ მტკიცებას.

8 მაისს ოფიციალურად შეგიდა ძალაში დოლარის დევალვაცია, რომელიც გასული წლის დამლეგს განხორციელდა მთელი რიგი უსასტიკესი კრიზისების ზეგავლენით დასავლეთის სავალუტო-საფინანსო ბაზრებზე. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა კონალმ ამ დღეს საქვეყნოდ გამოაცხადა, კონგრესის გადაწყვეტილებით, სამმაგი უნცია ოქროს ოფიციალური ფასი 35-დან 38 დოლარამდე დიდდებაო. მაგრამ მეორე დღესვე — ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სამხედრო აქციების შესახებ რ. ნიქსონის განცხადების შემდეგ — დასავლეთ ევროპის წამყვან სავალუტო ბაზრებზე დაიწყო უმაგალითო „ოქროს ციებცხელება“. უნცია ოქროს ფასი ლონდონის ბირჟაზე 54 დოლარამდე გაიზარდა. ყველა წინა რეკორდებს გადაამტრიეს სხვა ფულის ბაზრებზეც — პარიზში, ციურიხში, რომში.

ახალ ოფიციალურ ფასსა და ოქროს ფაქტიურ საბაზრო ფასს შორის ასეთ მკვეთრ სხვაობას ყველაზე უკეთ მოწმობს ის ფაქტი, რომ შეერთებულმა შტატებმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ვერ უზრუნველყო საკუთარი თავი ვერც ზარბაზნებითა და ვერც კარაქით. დოლარის გაუფასურება არის ავანტიურისტული აგრესიული საგარეო პოლიტიკის ეკონომიური ბუმერანგი. სენატორმა მენსფილდმა ტყუილად რომ გამოიანგარიშა, რომ ომის ერთი დღე ვიეტნამში ამერიკელ ხალხს უჯდება იმდენივე, რამდენიც საჭიროა საავადმყოფოების მოდერნიზაციისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

არამწარმოებლური, სამხედრო ხარჯები ნთქავენ არა მარტო სახსრებს, რომლებიც შეიძლებოდა გამოეყენებინათ სამოქალაქო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, — არამედ ისინი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის უზარმაზარი წყაროა. შარშან ამ დეფიციტმა შეადგინა უზარმაზარი თანხა — 30 მილიარდი დოლარი.

ასეთ პირობებში ისეთმა ქვეყანამ, როგორიცაა საფრანგეთი, უარი თქვა ამიერიდან დოლარი გამოიყენოს, როგორც საანგარიშო ერთეული თავისი ოქროსა და სავალუტო რეზერვების განსაზღვრისათვის.

თითქმის ხუთი წელი გავიდა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის ინვისის აგრესიის დაწყებიდან, ახლო აღმოსავლეთში კი ვერ იქნა და ვერ დამყარდა მშვიდობა. ისრაელის ჯარებს კვლავ ოკუპირებული აქვთ ისეთი არაბული მიწები, როგორიცაა სინაის ნახევარკუნძული, ღაზის სექტორი, დასავლეთი იორდანია და სირიის გოლანის მაღლობი. ოკუპანტთა მიზეზით არ მოქმედებს სუეცის არხი, სადაც გადიოდა საერთაშორისო ნაოსნობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა. ისრაელი აგრესორები არათუ ცინიკურად უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა რეზოლუციას, რომლებიც მოითხოვენ ისრაელის ჯარების გაყვანას, არამედ აგრეთვე აქტიურად ახორციელებენ ღონისძიებებს დაპყრობილი მიწების კოლონიზაციისათვის.

ტელ-ავივში უკვე დიდი ხანია შეადგინეს გეგმა, რომ ისრაელმა თანდათან შთანთქას ნაყოფიერი მიწებით მდიდარი დასავლეთი იორდანია. ამ მიზნით აქ ამას წინათ გაითამაშეს ეგრეთ წოდებული მუნიციპალური არჩევნების ფარსი. ამ სპექტაკლის მიზანი იყო შეიარაღებული ანექსიის ძველი მეთოდები შეეცვლოთ ახალი — პოლიტიკური და ეკონომიური მეთოდებით. ოკუპანტების იმედი აქვთ, რომ ძალაუფლების ახალი ორგანოები საიმედოდ დაუკავშირებენ არაბულ ტერიტორიებს ისრაელის ეკონომიკას და იმისათვის, რომ ეს კავშირი განმტკიცებინათ, დამპყრობლებს სურდათ დაემოწმებინათ ხალხის ნებასურვილი“.

მაგრამ, ეს განზრახვა სამარცხვინოდ ჩაიფუშა. არაბული ქვეყნების საერთაშორისო ორგანოებმა გადაჭრით დაგმო ისრაელი კოლონიზატორთა ეს მანევრი, ხოლო დასავლეთ იორდანიის მცხოვრებლებმა საკადრისი პასუხი გასცეს ცდას გაემარდილებინათ მათი ქვეყნის ოკუპაცია. ახლა ისრაელი დამპყრობნი ცდილობენ აგრეთვე დაიჩქარონ ღაზის რაიონის ანექსია. თავდაცვის მინისტრი დაიანი სპეციალურად წავიდა ამ რაიონში, რათა პირადად ადევნოს თვალი, თუ როგორ ახორციელებენ სამხედრო ხელისუფალნი ტელ-ავივში შემუშავებულ გეგმებს.

ცხადია, რომ ისრაელის ანექსიონისტური პოლიტიკა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეყრდნობა იმპერიალისტური ძალების, და უპირველეს ყოვლისა შეერთებული შტატების აქტიურ მხარდაჭერას. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების დახმარებით შეძლო ისრაელმა ხუთ წელიწადს გაეჭიანურებინა ახლო აღმოსავლეთის კრიზისი და ამასთან მდგომარეობის მოწესრიგების ნაცვლად მხოლოდ ელაპარაკა მოწესრიგებაზე.

ვაშინგტონის აქტიური მონაწილეობით ტელ-ავივში შეიმუშავეს ისრაელის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის გრძელვადიანი პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატები ახლა ისრაელს აწვდის „ფანტომის“ ტიპის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენებს, „სკაიჰოკის“ ტიპის ავიაგამანადგურებლებს, აგრეთვე „ბ-107“ ტიპის შორსმსროლელ ქვემეხებს. ხორციელდება ამერიკის მოწყობილობისა და ლიცენზიების ბაზაზე ისრაელის სამხედრო მრეწველობის შექმნისა და გაფართოების პროგრამა.

განვლილ ხუთწლეულში მოვლენათა განვითარება ცხადყოფს, რომ ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მყარი მშვიდობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ საფუძველზე, თუ შესრულდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ყველა დებულება, რომლის შესაბამისად ისრაელმა უპირობოდ უნდა გაიყვანოს ჯარები ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ შეჯამეს პარლამენტის გამართული არჩევნების შედეგები, რომლებიც მჭევრმეტყველურად მოწმობენ, რომ ჩაიშალა რეაქციის გეგმები მარჯვნივ გადაეხარათ ქვეყნის პოლიტიკური ღერძი. ლიბერალთა კონსერვატიულმა პარტიამ გამანადგურებელი დამარცხება განიცადა — მან დაკარგა ადგილების ნახევარი სენატში და მესამედი — დეპუტატთა პალატაში. ამან ლახვარი ჩასცა მემარჯვენეთა გეგმებს „მემარცხენე ცენტრის“ მთავრობის კოალიცია შეეცვალათ უფრო რეაქციული ძალების კომბინაციით.

იტალიის ყველაზე დიდი ბურჟუაზიული პარტია — ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია არჩევნებზე ამკარად ანტიკომუნისტური პლატფორმით გამოვიდა. მან დაადასტურა ჩრდილოეთ ატლანტიკური ბლოკისადმი ერთგულება და პირობა დადო, რომ ალაგმავს იტალიის მუშათა კლასის სავაფიცვო მოძრაობას. არჩევნების შედეგები მოწმობენ, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის პრესტიჟი დაეცა, ამასთან მან დაკარგა თავის ამომრჩეველთა ნაწილი.

იმას, რომ ჩაიფუშა რეაქციის მთავარი განზრახვა-მკვეთრად მარჯვნივ შემობრუნებინათ იტალიის პოლიტიკური კურსი — ცხადყოფს არჩევნებზე იტალიის კომუნისტური პარტიის მნიშვნელოვანი წარმატება.

კომპარტიას ხმა მისცა 9 მილიონზე მეტმა კაცმა, რაც ყველა ამომრჩევლის 27,2 პროცენტს შეადგენს. ეს მეტია, ვიდრე რომელიმე წინა არჩევნებში იყო, როგორც აბსოლუტური ციფრებით, ისე პროცენტობით. ეს შედეგები ცხადყოფენ, რომ იტალიელი ხალხის ფართო ფენებში პოპულარულია და მხარდაჭერას იმსახურებს კომპარტიის პროგრამა — ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იტალიის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ისეთი მთავრობის შექმნისათვის ბრძოლის პროგრამას, რომელიც დაეყრდნობა მეშრეკნენე და დემოკრატიული ძალების ერთიანობას და განახორციელებს ღრმა სოციალურ გარდაქმნებს.

იტალიის პარლამენტის არჩევნების შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ ევროპის ამ დიდმნიშვნელოვან ქვეყანაში არ შეიძლება სახელმწიფო სამეფოს /გადაწყვეტა უკომუნისტებოდ და /კომუნისტების საწინააღმდეგოდ. ეს ქვეყნის შინაპოლიტიკური ცხოვრების მეტად დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც იტალიელ მშრომელებს უნერგავს თავიანთი ძალ-ღონის რწმენას, განამტკიცებს მათს გადაწყვეტილებას წინააღუდგნენ რეაქციის ახალ ხრიკებს.

ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ გარეუბან დიფანსში, საგამოფენო სასახლეში დამთვალიერებელთა ცნობისმოყვარეობას იწვევს გრძელი გალერეა, რომელსაც ყოველი მხრიდან შემოვლებული აქვს ღობარა ხდება იქ?

ყველაზე მომქანცველი გაჩერებაზე ავტობუსისა და ტროლეიბუსის ცდაა. რა კარგი იქნებოდა, რომ, ეთქვათ, სამსახურიდან ან თეატრიდან გამოსვლისას, მოხვდეთ მოძრავ ტროტუარზე, რომელიც სახლამდე მიგიყვანდათ.

ეს ფანტასტიკა როდია. უკვე 1900 წლის საერთაშორისო გამოფენაზე მუშაობდა მოძრავი ტროტუარი. მაგრამ მაშინ ადამიანები არ ჩქარობდნენ, როგორც ღღეს და ამიტომ გამოგონებამ ვერ ჰპოვა პრაქტიკული გამოყენება. ჩვენს დროში ცხოვრების ტემპი სულ სხვაგვარია, მრავალი ქალაქი ტრანსპორტის ნაკლებობას განიცდის. წარმოიშვა იდეა „შეექმნათ „ფეხით მოსიარულეთა დამაჩქარებელი“. ამისათვის ესკალატორი გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ესკალატორი ჩვეულებრივ ნელა მოძრაობს, სიჩქარის მომატებისას კი მასზე შედგომა პრობლემად ხდება ბეგრისათვის. ადამიანები წონასწორობას კარგავენ, ეცემიან.

დიფანსის „საიდუმლო“ გალერიაში ცდიან პრინციპულად სხვაგვარ სისტემას. ლაპარაკია არც თუ მაღალ ესტაკადაზე მოძრავ ავტომატურ საზიდავებზე დასაჯდომი ადგილებით. ისინი მოძრაობენ თითქმის განუწყვეტლივ. გაჩერებებს შუა მოძრაობა ჩქარდება, გაჩერებებთან კი კლებულობს. თუ მგზავრი საეფეზურზე შეადგამს ფეხს, რომ ავიდეს ან ჩამოვიდეს, საზიდავი რამდენიმე წამით ჩერდება. საზიდავი შეიძლება აღიჭურვოს ავტომატური მოწყობილობით, რომელსაც ლიფტებში იყენებენ. მაშინ ისინი გაჩერდებიან არა ყველა გაჩერებაზე, არამედ იქ, სადაც მგზავრები შეუკვეთენ. მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

ახლა დიფანსში გამოცდას გადის საქალაქო ტრანსპორტის ამ ახალი სახეობის პირველი საცდელი ხაზი. ორიოდე თვის შემდეგ ლობეებს მოხსნიან და გამოფენის დამთვალიერებელნი შეძლებენ შეიფასონ „ფეხითმოსიარულეთა დამაჩქარებლის“ მუშაობა, ვიდრე იგი პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებდეს.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ დედაქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში მიიყვანეს ვინმე ხარი რამი, რომელსაც კუჭის არეში მწვავე ტკივილები ჰქონდა. ექიმებს ბევრი დრო არ დასჭირებიათ დიაგნოზის დასასმელად. ავადმყოფი გამოდგა ცნობილი კონტრაბანდისტი. მან აღიარა, რომ გადაყლაპა მთელი კილოგრამი ოქრო, რათა პოლიციას ვერ ეპოვნა ძვირფასი ლითონი.

ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲩᲔᲛᲝᲚᲐᲜᲘ

ᲩᲠᲐᲕᲚᲘ ქვეყნის სტატისტიკა იმ დასკვნამდე ძვიდა, რომ პირველი ადგილი საოჯახო ნივთებს შორის უნივერსალობის მიხედვით უჭირავს ჩვეულებრივ... ჩემოდანს.

მოხერხებულმა გამომგონებლებმა მის ბაზაზე შექმნეს ჩემოდანი — ნავი, ჩემოდანი — კარავი, ჩემოდანი — საწოლი, ჩემოდანი — ჩაიდანი, ჩემოდანი—სამზარეულო, ჩემოდანი — პირსაბანი, ჩემოდანი—სალარო, ჩემოდანი — ციგა და სხვ.

ᲡᲐᲕᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲔᲠᲘ

ᲪᲮᲔᲚᲝᲓᲐ, ბუენოს-აირესის ერთ-ერთ გარეუბანში დარაჯმა სპილოები მიატოვა, რომ მდინარეში გაგრილებულიყო. ერთი სპილო ცირკში ეფექტურ ტრიუკს ასრულებდა — მწვრთნელის სასტვენის ხმაზე აფიოდა წყლად შეღებულ ტუბაზოზე და თავგზიანად თავს უკრავდა მაყურებლებს.

ამ დროს, როცა დარაჯი წასული იყო, იქვე რკინიგზაზე საგანგებო ლოკომოტივმა გაიარა. მემანქანემ საყვირი მისცა. როგორც ჩანს, სპილომ გადაწყვიტა, რომ ეს მწვრთნელის სასტვენი იყო და მაშინვე ავიდა უახლოეს წყალ საგაზე, რომელიც ნაცნობ ტუბაოს წააგავდა. ამკრავად ტუბამ როლი შეასრულა მსუბუქმა ავტომობილმა „ფიატ-600“-მა.

ამ ამბის შემდეგ მანქანის მფლობელმა ისეთ მდგომარეობაში ნახა „ფიატი“, რომ სადაზღვევო საზოგადოება, რომელიც ცარკებს ემსახურება, იძულებული გახდა ახალი მანქანა ეყიდა.

ᲛᲔᲢᲔᲝᲠᲘᲢᲘ ᲕᲘᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ

ᲕᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘᲓᲐᲜ (აშშ) ფრანს პრესის სააგენტო იტყობინება, რომ მთვარეზე ამერიკის კოსმონავტების მიერ დადგმულმა სეისმომეტრებმა აღნიშნეს ხამ მეტრამდე დიამეტრის მქონე მეტეორიტის დაცემა.

მთვარის ზედაპირთან მეტეორიტის შეჯახების შედეგად მოხდა აფეთქება, რომელიც ათას ტონა ტრინიტროტოლუოლის აფეთქების სიძლავრეს უდრის და წარმოიშვა თითქმის ასმეტრიანი კრატერი.

ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

15 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ე. ალექსეევი გვაცუობინებს: მოდრეიფე სადგურზე „ჩრდილოეთის პოლუსი 19“ სსრ კავშირის სახელწიფო ალმის გვერდით ფრიალებს კუბის დროშა.

კუბელ მეცნიერთა ექსპედიცია მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ანტონიო ნუნიეს ხელმძღვანელობით, რომელიც არქტიკულ განედებში იყო, გაეცნო სსრ კავშირის ჩრდილოეთის მეტეოსამსახურების სისტემას და საბჭოთა სპეციალისტების მუშაობას. დასახულია მეტეოროლოგიურ კვლევაში შემდგომი თანამშრომლობის პროგრამა. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება კუბის სოფლის მეურნეობისა და მისი ეკონომიკის სხვა დარგების წარმატებით განვითარებისათვის.

კუბის მეცნიერების გასვლა დედამიწის პოლარულ რაიონებში შემთხვევითი როდია. კუბელ მეცნიერებს დიდი ხანია აინტერესებთ ისეთი პრობლემები, როგორიცაა გარეშე ამინდის პირობების, და უწინარეს ყოვლისა, ზღვის დინებათა გავლენა კუნძულის კლიმატზე, რომელიც მდებარეობს მძლავრი ტროპიკული ციკლონების წარმოქმნის ზონაში. ამ ციკლონებს ბევრჯერ მიუყენებიათ აუოაცხელი მატერიალური ზარალი და ბევრი ადამიანი უმსხვერპლიათ კუნძულზე.

სახალხო ხელისუფლების უკვე პირველ წლებში კუბის მეცნიერებათა აკადემიის მეტეოროლოგიის ინსტიტუტმა შექმნა ფართო მეტეოქსელი, რომელიც ახლა აერთიანებს 50-ზე მეტ კარგად მოწყობილ სადგურს. ეს სადგურები განლაგებულია კუნძულის სხვადასხვა რაიონებში. არქტიკულ განედებში გასვლა კუბელ მეტეოროლოგებს საშუალებას მისცემს უფრო ღრმად შეისწავლონ ბუნების მრისხანე მოვლენათა წარმოქმნის კანონზომიერება.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲜ ᲘᲐᲠᲐᲚᲡ

15 მაისი. (საკდესი). ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად მოიწონა ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის სამი წყალქვეშა ნავის მიწოდება, იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

თუმცა ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო არც ადასტურებს და არც უარყოფს ამ ცნობას, „ვიკერსის“ კომპანიის წარმომადგენელმა, რომლის ნავსაშენმა მიიღო ამ ხომალდების აშენების შეკვეთები, განაცხადა, რომ ისრაელისათვის წყალქვეშა ნავების მიწოდების კონტრაქტებს ხელი მოაწერეს ჯერ კიდევ აპრილში.

როგორც ვარაუდობენ, გარიგების საერთო თანხაა 18 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს აგრეთვე, რომ გაუქმდა აკრძალვა ესპანეთის დიქტატორული რეჟიმისათვის იარაღის მიყიდვაზე.

ეს აკრძალვა თავის დროზე შემოიღო ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ. აქ ვარაუდობენ, რომ ფრანკოს მთავრობას სურს ბრიტანეთის კუნძულებზე შეიძინოს სამხედრო თვითმფრინავები.

ᲝᲢᲐᲕᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲫᲚᲘᲔᲡ

15 მაისი. (საკდესი). გაურკვევლობისა და უთანხმოებათა ატმოსფეროში მომდინარეობს მონრეალში მე-19 საერთაშორისო სავალუტო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობენ 20 კაპიტალისტური ქვეყნის ბანკებისა და სხვა საფინანსო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ამ ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ეკსპორტი. ასეთი ცვლილებების შედეგად, როგორც აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, „დაირღვა მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალისტური სამყაროს საერთაშორისო სავალუტო სისტემის მთელი სტრუქტურა“.

თავის მხრივ ამას მოსდევს სავაჭრო და სავალუტო წინააღმდეგობათა გაძვიერება. ტაილანდის ექვს ბაზაში განლაგებული „ბ-52“ მძიმე ბომბდამშენები ყოველდღე ეესმით თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, შეერთებული შტატების მოქმედება ტაილანდში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში. ბევრი კანონმდებელი გამოთქვამს შიშს, რომ ასეთ კურსს შეიძლება მოჰყვეს ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების ისედაც გაზვიადებულ სამხედრო „ვალდებულებათა“ შემდგომი გადიდება.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 15 ᲛᲐᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). რამდენიმე ათასი კაცი მონაწილეობდა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში, რომელიც სანფრანცისკოს ცენტრში მოეწყო. „მოვითხოვთ მშვიდობას“, „შეწყვიტეთ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა“ — წარწერილი იყო პლაკატებზე, რომელიც დემონსტრანტებს მოჰქონდათ.

მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ გაგზავნეს პოლიციის რაზმები, რომლებმაც ცრემლსადენი გაზისა და ხელკეტების საშუალებით გარეკეს დემონსტრანტები. დაპატიმრებულია 50 კაცი, არიან დაჭრილები.

ცრემლსადენი გაზით შეხვდა პოლიცია ომის მოწინააღმდეგეებს, რომლებმაც საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს იტაკის (ნიუ-იორკის შტატი) კორნელის უნივერსიტეტში. სტუდენტები დაპატიმრეს აგრეთვე ნიუ-ჰეივენში (კონექტიკუტის შტატი) იელის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა პრინსტონის უნივერსიტეტში (ნიუ-ჯერსის შტატი), რომლის სტუდენტები პიკეტობდნენ თავდაცვითი ანალიზების ინსტიტუტს, რომელიც სამხედრო შეკვეთებს ასრულებს.

ეროვნული გვარდია გამოიძახეს მინეაპოლისში (მინესოტის შტატი), რათა გაერკვიათ მინესოტის უნივერსიტეტის ორი ათასზე მეტი სტუდენტი, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ ომის ახალი ესკალაციის წინააღმდეგ. ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაიმართა ვაშინგტონში კონგრესის შენობასთან და ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის წინ.

სენატორებმა ჰ. ჰიუზმა და ა. კრენსტონმა და წარმომადგენელთა პალატის წევრმა ფ. ბერტონმა გამოაცხადეს, რომ აწყობენ ფართო კამპანიას ლობუნგით „მოგვწოდებთ მშვიდობას“. ამ კამპანიის მიზანია დარაზმოს ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი, რათა კონგრესმა შეწყვეტოს ინდოჩინეთის ომის შემდგომი დაფინანსება. „დადგა მომენტი, როცა ხალხმა უნდა მოსთხოვოს კონგრესს, რომ მან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება“, — განაცხადა ჰიუზმა.

„ჩვენ საფრთხეს ვუქმნით მთელი მსოფლიოს მშვიდობას“, — განაცხადა სენატორმა უ. ფულბრაიტმა, რომელმაც ამხილა მთავრობის ოფიციალური მტკიცებანი, თითქოს ომის ესკალაციის მიზანია „თავიდან აგვაცილოს საფრთხე, რომელიც მშვიდობას შეექმნა“.

ორმა სენატორმა და წარმომადგენელთა პალატის 21 წევრმა ფედერალურ სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რომელშიც მოითხოვენ, რომ მთავრობის მოქმედება უკანონოდ ცნონ. ომის გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ კონგრესს, განაცხადეს მათ, და მთავრობა, რომელიც იძლევა ბრძანებებს ესკალაციის შესახებ, არღვევს კონსტიტუციას.

• • •

**სურათზე: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. სარაკეტო ნაწილის მეომრ

ახალი რეზერვუარი

ბორი. (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს სოფელ ატენის მშრომელებმა— მწყობრში ჩადგა სასმელი წყლის 250 ტონის ტევადობის რეზერვუარი, რომელიც ბარბაროს ქედზე აშენდა. რეზერვუარი ივსება ჯებირის უბანში დამონტაჟებული წყალსაქაჩის საშუალებით. მისი წარმადობა წამში 8 ლიტრს უდრის.

ამ საშვილიშვილო საქმეზე მთელი მონდომებით იმუშავეს ბორის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს მშენებლებმა. მათ დიდ დახმარებას უწევდნენ თვითონ ატენელებიც. ამრიგად, ახლა უკვე სასმელი წყლით უზრუნველყოფილი არიან გორდატენის, ჯებირის, ვანიანთ უბნის მცხოვრებლები და სკოლა-ინტერნატი.

მეურნეობის ვოკალური ანსამბლი

ბაგმეპარი. (საკ. კორ.). დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდობას შრომასთან ერთად გართობაც უყვარს. აქ კარგახანია შეიქმნა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, სადაც გაერთიანებული არიან მეურნეობის მუშები ნ. ნაჭყებია, მ. თორდინავა, ზ. თოდუა, მეჩაიე დარეჯან ლეკიშვილი, ჩაის საკრეფი მანქანის მძღოლი, რაიონში პირველი შექანიზატორი ქალიშვილი მაბული ლეკიშვილი, ბუღალტერი ინეზა ჟვანია და სხვები.

ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს კლუბში და მინდვრად, პლანტაციებში, მეჩაიეებში იგი დიდი მოწონებით სარგებლობს.

ქართველ მეცნიერთა დაესახურების აღიარება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოვიდა ცნობა, რომ ქართველი მეცნიერები თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ა. ურუშაძე, პროფესორი თ. ყაუხჩიშვილი, დოცენტები ა. ალექსიძე, რ. გორდეზიანი და ი. ჯავჯავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი დოცენტი ი. შენგელია არჩეული არიან XVIII საუკუნის გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის იოჰან ჯანკელმანის სახელობის საერთაშორისო საზოგადოების წევრებად.

ქართველი მეცნიერები საზოგადოების წევრებად არჩეულ იქნენ ანტიკური კულტურის სხვადასხვა სფეროში მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი დამსახურება ბერძნულ-რომაულ და ქართულ ურთიერთობათა საკითხების კვლევის საქმეში.

სპეციალისტთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს პროფესორ თინათინ ყაუხჩიშვილის შრომებმა, რომლებიც ეხება ჰეროდოტეს, სტრაბონისა და სხვათა ცნობებს საქართველოს შესახებ; პროფესორი ა. ურუშაძის შრომამ — „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, დოცენტ რ. გორდეზიანის ნაშრომმა — „ქომეროსის ეპოსი (ეპეოსის მოსახლეობის ურთიერთობა ქართველურ ტომებთან“); დოცენტ ა. ალექსიძისამ — „ბიზანტიური რომანის საკითხები“ და გამოკვლევებმა, რომლებშიც განხილულია ეტრუსკოლოგიის საკითხები, პრობლემები პრომეთეს მითის შესახებ, რომლებზეც მუშაობს დოცენტი ი. შენგელია.

ავტოქარხნის ეზოა... ასე იცვლება ქუთაისის კეიზაქი.

ხ. კილაძის ფოტო.

სიმდიდრე ჯავახეთის ტბებისა

უზარმაზარი სარკე გეგონებათ მთაგრეხილებში ჩასმული ჯავახეთის ტბები — ფარავანი და სალამო. მაგრამ მარტო ბუნებრივი სილამაზით როდია განთქმული ჯავახეთის ტბები. მათ დიდი სამეურნეო მნიშვნელობაც აქვთ. საქართველოს ეს დიდი ტბა — ფარავანი და მისი გაგრძელება სალამოს ტბა, რომელთა ფართობიც 42 კვადრატულ კილომეტრს აღწევს, ეკუთვნის ბოგდანოვკის რაიონის ფარავნის მეთევზეობის მეურნეობას.

თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც აქ სამრეწველო თევზის მოშენებას მისდევენ, მაგრამ უკვე ყოველწლიურად 50 ტონამდე თევზს იჭერენ. წელს კი, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეასთან დაკავშირებით, ფარავნელმა მეთევზეებმა ვალდებულება იკისრეს აწარმოონ 65 ტონა თევზი, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 15 ტონით მეტი.

ტბის კალმახი, ხრამული, ფარავნის კობრი — აი ის თევზები, რომელთა მომრავლებასაც მისდევენ ფარავნელი მეთევზეები. 1970 წელს აქ შემოყვანილ იქნა აგრეთვე თევზის ახალი ჯიში — პელიადი, რომელიც გამორჩეული ყინვაგამძლეობითა და სწრაფი გამრავლებით.

მეთევზეობის განვითარებისათვის ის საჭიროა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, ამ მიზნით გათვალისწინებულია ტბებში მომრავლდეს სპეციალური წყალმცენარეები და წყლის წვრილი მობინადრენი.

ფარავნის მეთევზეობის მეურნეობას აქვს თევზის ორი ქარხანა, რომლებიც შეკეთების შემდეგ მალე მთელი დატვირთვით ამუშავდება.

მეურნეობაში აწყობენ საგუბრებს ლიფსიტების გამოსაყვანად. ფარავნისა და სალამოს ტბებში ამის შემდეგ თევზის მომრავლება ძირითადად მოხდება ადგილზე — მეურნეობამივე გამოყვანილი ლიფსიტებით.

შ. მაისურაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ძალოსნობა

□

დ. შანიკა — ევროპის ჩემპიონი

რუმინეთის ქალაქ კოსტანცაში ძალოსნთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ ქვემსუბუქი წონის ათლეტები. საბჭოთა სპორტსმენებიდან ამ წონითს კატეგორიაში გამოდიოდა დიტო შანიძე. სამპიონის ჯამში მან 395 კილოგრამი დააგროვა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

შეწირვა, ისევ შეწირვა

ნონა გაფრინდაშვილის მეორე გამარჯვება

რიგა. (ტელეფონით). გუშინ ოფიციალთა სახლის „ოქროს დარბაზში“ გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილალა კუშნირის მეორე პარტია. შეხვედრა მეტად მწვავედ მიმდინარეობდა და მეტოქეთაგან დიდი ენერგიის დახარჯვა მოითხოვა.

თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი. მან პარტია ლაზიერის პაიკით დაიწყო. საუურადღებოა აღინიშნოს, რომ ამავე მეტოქეთა პირველ მატჩში 1965 წელს, კუშნირი ყოველთვის ასე იწყებდა პარტიას. ხოლო 1969 წელს კი ამ დებიუტზე ხელი აიღო და სხვა დასაწყისს მიმართა. მეტოქეებმა ძალიან სწრაფად გაითამაშეს დებიუტი, გრიუნფელდის დაცვა. ეს დასაწყისი ახლა ხშირად გვხვდება საბურნირო პრაქტიკაში. ორი წლის წინ ასე ითამაშეს ზიგენის ოლიმპიადაზე სპასკიმ და ფიშერმა. მეკიე სვლაზე გაფრინდაშვილმა გადაუხვია ამ პარტიაში გამოყენებულ გაგრძელებას და უფრო მწვავე ვარიანტი აირჩია. უკვე მოთოთმეტე სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონმა, ისევე როგორც პირველ პარტიაში, შესწორა პაიკი. პრეტენდენტმა გამოწვევა მიიღო. გაიმართა საინტერესო ბრძოლა. შეწირულ პაიკში გაფრინდაშვილმა გარკვეული კომპენსაცია მიიღო. მან დაიწყო შეტევა ლაზიერის ფრთაზე. სამი მსუბუქი ფიგურის გაცვლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა წამოიწყო ფართო, გაბედული ოპერაცია პაიკისა და კუს შეწირვით. თუმცა მას შეეძლო თეთრი მეფის საფარის დასუსტება, მაგრამ კუშნირს დაცვის კარი შესაძლებლობა ჰქონდა. დაძაბულობამ კულმინაციას 28-ე სვლაზე მიაღწია, როდესაც კუშნირს სერიოზული შეცდომა მოუვიდა. მან გადაწყვიტა მეტოქისათვის ზედმეტი ფიგურის დაბრუნება და თამაშის გამარტივება. ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება. შემდეგში კუშნირი არაზუსტად თამაშობდა და გაფრინდაშვილმა სახიფათო მეკარა შექმნა. 38-ე სვლაზე დაახლოებით თანაბარ პოზიციაში პრეტენდენტი უხეშად შეცდა და გაფრინდაშვილმა თეთრ მეფეს ერთსვლიანი შამათი გამოუცხადა. ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2:0 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ.

მორიგი მესამე პარტია გაიმართება 17 მაისს. თეთრებით ითამაშებს ნ. გაფრინდაშვილი.

მეორე კარტია

ა. კუშნირი —
ნ. გაფრინდაშვილი

გრიუნფელდის დაცვა

1. d4 ∂f6 2. c4 g6 3. ∂c3 d5 4. cd ∂:d5 5. e4 ∂:c3 6. bc ⿲g7 7. ⿲c4 c5 8. ∂e2 cd 9. cd ∂c6 10. ⿲e3 ⿲a5+ 11. ⿲d2 ⿲a3 12. ⿲b1 0-0 13. 0-0 ⿲g4 14. d5 b5 15. ⿲:b5 ∂d4 16. ⿲a5 ⿲b2 17. f3 ⿲d7 ∂ef1 ⿲fc8 19. ⿲d3 ∂:e2 20. ⿲:e2 ⿲c3 21. ⿲:c3 ⿲:c3 22. ⿲a6 ⿲ab8 23. ⿲:a7 ⿲b2 24. ⿲d1 ⿲d2 25. ⿲b3 ⿲h3 26. ⿲h ⿲e5 27. f4 ⿲h5 28. ⿲b4 ⿲:d8 29. ⿲:e7 ⿲f8 30. ⿲g5 ⿲:h3 31. ⿲g2 ⿲e3 32. ⿲b7 ⿲c8 33. ⿲b3 ⿲:b3 34. ab ⿲:b3 35. f5 ⿲c2 36. ⿲g4 ⿲d3 37. ⿲f4 ⿲e2 38. fg ⿲g2 შამათი.

ბ. ბამრეკელი.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ფეხბურთი

ამინდის კორექტივით

თბილისი. ლოკომოტივის სტადიონი. 15 მაისი. სათადარიგო შემადგენლობანი. მსაჯი ვ. ქარაფეტი (მოსკოვი).

დინამო (თბილისი) — **ასპ** (დონის როსტოვი) 0:1, (0:1).

„**დინამო**“: ჩლაიძე, ბუძიშვილი, კანდელაკი, ნემსაძე, გოგიჯანაშვილი, გაბრიჭიძე, კუტუბაძე, გ. მაჩაიძე, ფერეული (ვაშაკიძე), კრავჩენკო, ლ. ნოდია (კოპალეიშვილი).

ასპ: კუდასოვი, ლოზინი, მოგილნი, სმირნოვი, ტერ-ოგანესიანი, პლეშაკოვი, ობოდზინსკი, ფილატოვი, ბოიჩენკო (ანაევი), ივანოვი, ჯავადოვი.

სპორტის ყველა სახეობის სათადარიგო შემადგენლობათა ასპარეზობა პირველ ყოვლისა სანტერესოა ახალგაზრდა მოთამაშეთა პერსპექტიულობის მხრივ: გვსურს ვიცოდეთ თუ როგორი ცვლა ჰაყოთ გამოცდილ სპორტსმენებს. ამ მხრივ თბილისელთა შეხვედრამ როსტოველებთან პასუხი მიახლოებითაც ვერ გაგვცა. არბიტრის სასტვენის ხმასთან ერთად დაიწყო... წვიმა, რამაც მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა თამაშში.

თბილისელთა მრავალსულიან კომბინაციებს სტუმრებმა დაუპირისპირეს შედარებით მარტივი, მაგრამ სული მინდვრისათვის სწორი ტაქტიკა — გრძელი გადაცემების შედეგად მოგდნის შოვაგულის სწრაფი გავლა და კარში დარტყმები ნებისმიერი ადგილიდან, ერთ-ერთმა ასეთმა დარტყმამ საჯარიმოს ხაზიდან სტუმრებს გოლი და გამარჯვება მოუტანა (ჯავადოვი).

მასპინძლებს ჰქონდათ გოლის გაქვითვის შესაძლებლობა, მაგრამ გაბრიჭიძისა და კუტუბაძის უძლიერესი დარტყმები ბრწყინვალედ მოიგერია მეკარე კუდასოვმა.

ზ. რცხილაძე.

კვირაც და ორშაბათს

14 და 15 მაისს გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის სამი მატჩი.

კვირას მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ და ბაქოს „ნეფტჩი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0, ეს ერთადერთი ბურთი ჩესნოკოვმა გაიტანა.

გუშინ მოსკოვის „სპარტაკი“ კიევის „დინამოს“ მასპინძლობდა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. ბურთები გაიტანეს სპარტაკელმა პაპაევმა და კიეველმა პუზაჩმა.

ლენინგრადის „ზენიტს“ არმიელთა ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი ეწვია ასპარეზობის შედეგია ფრე — 1:1. არმიელი ტელინგერის ბურთი ლენინგრადელებმა გაქვითეს 11-მეტრიანით (სადირინი).

ცნობილია კიდევ ორი...

შაბათსა და კვირას გაიმართა ევროპის ჩემპიონატის სხვა მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში. უნგრეთისა და რუმინეთის ნაკრებთა შეხვედრას არ გამოუვლენია საბჭოთა გუნდის მომავალი მეტოქე ნახევარფინალში. მათი მეორე ასპარეზობა ბუქარესტში კვლავ ფრედ — 2:2 დამთავრდა (პირველი მატჩის ანგარიშია 1:1).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის მეოთხედფინალური წყვილში გაიმარჯვეს გერმანელმა ფეხბურთელებმა. ლონდონში უემბლის სტადიონზე მოგების (3:1) შემდეგ მათ შინ ფრედ 0:0 დაამთავრეს შეხვედრა და ნახევარფინალში გავიდნენ.

დამარცხება განიცადა ევროპის ასლანდიელმა ჩემპიონმა — იტალიის ნაკრებმა ბელგიელებთან დავაში. საკუთარ მოედანზე ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ მათ წააგეს მეორე შეხვედრა — 1:2.

ამრიგად ერთი ნახევარფინალური წყვილი ცნობილია — **გერმანელები.** საბჭოთა ნაკრების მოწინააღმდეგეს გამოავლენს რუმინეთისა და უნგრეთის გუნდების დამატებითი შეხვედრა.

რამდენიმე სტრიქონით

● **ძალოსნობა.** 27 წლის მინსკელი რაფიელ ბელენკოვი საბჭოთა ძალოსნებიდან პირველი გახდა ევროპის ჩემპიონი რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში მიმდინარე შეჯიბრებაზე. მჩატე წონაში მან სამპიდის ჯამში დააგროვა 360 კილოგრამი.

უმჩატეს წონაში ოქროს მედალი მოიპოვა პოლონელმა ზიგმუნდ სმალცეკმა — 340 კილოგრამი. ვერცხლის მედალი წილად ხვდა ლვოველ ადამ გნატოვს — 332,5 კილოგრამი. ა. გნატოვმა მცირე ოქროს მედალი მოიპოვა აჭიმვაში.

● **ფრენბურთი.** სსრ კავშირისა და იაპონიის ქალთა ნაკრები გუნდების მეექვსე, საბოლოო შეხვედრა ტოკიოში სტუმრების დამარცხებით დამთავრდა 2:3. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტა რა ხელმა...

ნანა ბოტკოველის ნამუშევრთა გამოფენაზე

ქართული კერამიკის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. ვინ არ მოხიბლულა ჩვენებური ყელმოღერებული სურნების, ნაირსახოვანი სასმისების, ფიალებისა თუ დოქების ხილვით. ვინ მოსთვლის, რამდენი აღტაცებული სიტყვა თქმულა მათ ოსტატებზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ის, ვინც ამ დღეებში ყოფილა საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკთა სახლში, ნანა ბოტკოველის პერსონალურ გამოფენაზე, დამეთანხმება, რადგან საინტერესო ნამუშევრები გამოიტანა ავტორმა ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.

ეს მისი მეორე პერსონალური გამოფენაა. პირველად ნ. ბოტკოველის შემოქმედებას, მის მონუმენტურ კერამიკულ ჭურჭელს ჩვენი საზოგადოება გაეცნო ამ სამიოდე წლის წინათ.

რა ეხიბლავთ უწინარეს ყოვლისა ნ. ბოტკოველის შემოქმედებაში? ეს თვით მისი სამუშაო მასალის, ამ უბრალო თიხის საოცარი გაცოცხლებაა. აი თუნდ ნამუშევართა სახელწოდებები ჩამოთვალოთ — „სიცოცხლის სიყვარულში,“ „ო, სიცოცხლეო“, „ბორტსა სძღია კეთილმან“, „ქალღმერთის გასეირნება“, „მტერი ვერას დაგვაკლებს“, „არ დამივიწყო“, „თამარ ქალი“ და მრავალი სხვა მიგანიშნებთ, რომ მხატვარი-კერამიკოსი უბრალოდ კი არ ამუშავებს თიხას, იგი თითქოს ამ უსულო საგნებს ცოცხალ არსებებად მიიჩნევს და თვითეულს თავის სიუჟეტსაც უქმნის. აბა ნახეთ ლვინისა და სიყვარულის ტრფიალით ამღერებული შავტუხა ბიჭის გამოსახულებით დამშვენებული ვეება დოქი და მის გვერდით მდგომი ყურძნის მტევნებით შემკული ლამაზი გოგო. რამდენი რამ შეიძლება ამოიკითხო თიხაში ამღერებულ მათს სიყვარულზე.

აი კიდევ „ქალღმერთის გასეირნება“, კერამიკოსი ამ ნამუშევარში იყენებს ძველ ლეგენდას ხაკაოსა და სიაქიოში მოსეირნე ორთავიან ცხოველზე ამხედრებულ ნაყოფიერების ქალღმერთზე და ქმნის დიდ საზეიმო თასს. მასზე ფერადი ჭიქურით გამოხატულია მფრინავ ვერძზე მჯდარი ქალღმერთი, რომელსაც მხარს უმშვენებენ ოქროსფრად მოხატული ვერძები.

საერთოდ ნ. ბოტკოველის კუღტია ვერძი — სიძლიერის, დიდების, სიმშვიდის სიმბოლო და მზე—სიცოცხლის წყარო. თითქოს ყველა მის ნამუშევარში შეხვდებით ვერძსა და მზეს. გაოცებთ დოქების, თასების სურების, კედლის დეკორატიული თეფშებისა თუ საყვავილეების შემკულობა. ზოგს ხვესურული სირმით მოქარგული კაბა აცვია („ხვესურული დედოფალი“), ზოგს მძივებით ნაქარგი გულისპირით მოუღერებია ყელი („დიდება ვერძის“). აი ქართული ფრესკების მოტივებზე შესრულებული ტანსაცმელი „ფრესკულა“. ნამუშევარში გხიბლავთ ფირუზის, ნარინჯისა და ღვინისფერის საოცარი შეხამება. აი კიდევ ჯიღებით დამშვენებული „ხარისთავი“, „საქორწილო მარანსაც“ ჯიღი დაუდგამს. რამდენი სილამაზეა აღბეჭდილი ცვრული მძივით მოხატულ „გაზაფხულზე“. ძველი ქართული ხალიჩების ოსტატთა ბრწყინვალე დასურათებით, „ლერწამა“.

ათვალიერებთ ამ მონუმენტურ კერამიკულ ჭურჭელს და გაოცებთ მათი ავტორის ფანტაზია. რამდენს მუშაობს ის თავისი ნამუშევრების ფორმებისა თუ შემკულობისათვის. ის გატაცებულია ქართველ ქალთა მსატვრული ქარგულობათა თუ ხალიჩების ოსტატთა ბრწყინვალე დასურათებით, ხევსურული სამკაულებითა თუ ჩვენი ეროვნული ტანსაცმლის შემკულობით.

ნ. ბოტკოველმა ამ გამოფენაზე მრავალი ახალი ნამუშევარი გამოიტანა და, როგორც ეს გამოფენის საზეიმო გახსნაზე აღინიშნა კიდეც, უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი,

— იყალთოში ოდითგანვე ცხოვრობდნენ ჭურჭლის მკეთებელი ხელოსნები და არიან ახლაც, — თქვა ნ. ბოტკოველის პერსონალურ გამოფენაზე დასათვალიერებლად მოსულმა, უხუცესმა ხალხურმა მთქმელმა და კერამიკოსმა ვ. მრელაშვილმა, — ალბათ, ამის ნიშანია, რომ ნ. ბოტკოველმა, წარმოშობით იყალთოელმა, ხელი მოჰკიდა ამ საქმეს. გამოიცა აქ წარმოდგენილმა ნამუშევრებმა, როგორ შეძლო ამ პატარა ქალმა თიხის ასეთი დამუშავება, რამ დაასურათებინა და მოახატვინა ასე კარგად ეს ჭურჭელი.

— ნ. ბოტკოველმა აღადგინა და თანამედროვეობის სული ჩაბერა მრავალათასეული წლის წინანდელ ქართველ ოსტატთა ნამუშევრებს, — აღნიშნა ცნობილმა არქეოლოგმა გ. გობეჯიშვილმა, — არქეოლოგიური გათხრების დროს მცხეთაში, თრიალეთში, ბედენში თუ საქართველოს სხვა მხარეში მრავალი კერამიკული ჭურჭელი გვინახავს. ისინი გვიტაცებენ ბრწყინვალეებით, დამუშავების ოსტატობით. ძველი ტრადიციები კერამიკის წარმოებისა გადაეცა თაობიდან თაობას. ნ. ბოტკოველი ხშირად მონაწილეობს ჩვენს გამოხმაურებებში, სწავლობს არქეოლოგიურ მასალას, ითვისებს, რაც საუკეთესოა და ავთენტურს თანამედროვეობის ფორმებისა და გემოვნების მიხედვით. ამავე დროს მის ნამუშევრებში ხალხური ტრადიციულობა ჩანს. ამგვარად, ნანა ბოტკოველის სახით გვყავს ახალი ქართული კერამიკული: ხელოვნების უბრწყინვალესი წარმომადგენელი.

ნ. ბოტკოველის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცეს სიტყვით გამოსულებმა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. მელაძემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა რ. შეროზიამ, არქეოლოგმა რ. რამიშვილმა, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა გ. ჭანკვეტაძემ, იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა გ. შათირიშვილმა, იყალთოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ გ. ბოტკოველმა, მოსკოველმა ხელოვნებათმცოდნემ თ. ცარიოვამ.

შთაბეჭდილებათა წიგნში გაჩნდა ჩანაწერები. პირველი შთაბეჭდილება ჩაწერა ცნობილი კოსმონავტი მფრინავის იური ვოლკოვის მეუღლემ, ინჟინერ-ეკონომისტმა ლიუდმილა ვოლკოვამ, რომელიც ამ დღეებში სტუმრად იყო ჩამოსული ჩვენს დედაქალაქში.

ნ. ბოტკოველის გამოფენა თვის ბოლომდე გაგრძელდება.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათებზე: მხატვარი-კერამიკოსი ნანა ბოტკოველი; ქვეშოთ — გამოფენის ექსპონატები.

ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1972-73 სასწავლო წლისათვის I, II, III, IV, V, VI, VII, VIII კლასებში შემდეგ სპეციალობებზე: ფორტეპიანო, ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა.

V, VI, VII, VIII კლასებში— ფლეიტა, ჰობოი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი.

პირველ კლასში მიიღებიან 7 წლის ბავშვები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემები, საუკეთესო სმენა, რიტმი, მეხსიერება.

მეორე და შემდგომ კლასებში შემომსვლელთ, ბუნებრივი მონაცემების გარდა, უნდა ჰქონდეთ კლასისათვის შესაფერისი მომზადება მუსიკალურ სარეკავზე და მუსიკალურ საგნებში.

სკოლაში შემომსვლელნი ადგენენ შემდეგ საბუთებს: 1. განცხადება; 2. დაბადების მოწმობის ასლი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ; 3. ცნობები მშობლების საქმიანობის შესახებ; 4. ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ; 5. ცნობა ბავშვის საცხოვრებელი ადგილიდან; 6. ორი ფოტოსურათი (3X4).

უფროს კლასებში შემსვლელთათვის (V, VI, VII, VIII) გარდა ზემოთჩამოთვლილი საბუთებისა უნდა წარმოადგინონ: 1. სამედიცინო ცნობა — ფორმა № 26, 63. 2. ზოგადი განათლების სკოლიდან — აკადემიური დახასიათება.

რაიონებიდან ჩამოსული — სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ინტერნატით.

სწავლება უფასოა.

განცხადებები მიიღება 22 მაისამდე სკოლის კანცელარიაში 10-დან 3 საათამდე.

მისაღები გამოცდები — 23 მაისიდან 5 ივნისამდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

სკოლის მისამართია: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 42, ტელ. 99-01-14.

ტელევიზია

16 მაისი

პირველი პროგრამით

10.45 — მოსწავლეთათვის „კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი სტუდიურად პიონერებთან“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.40 — ქართული მხატვრული ფილმი — „ზოია რუხაძე“, 17.05 — ამიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.50 — კინონარკვევი — „კერგილენი“, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „სსრკ-50“ — ბელორუსიის ტელევიზიის პროგრამა, 19.00 — შუხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (თბილისი) — ასკ (როსტოვი), 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „სსრკ-50“ — ბელორუსიის ტელევიზიის პროგრამა, 23.15 — შუხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „პარატი“ (მრეკვანი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) გადმოცემა ვოროშილოვგრადიდან, ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ხაზვა (ტოპოგრაფიული ხაზვა VIII კლასელთათვის), 19.05 — მათემატიკა — სკოლების დასახმარებლად, 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მეცნიერულ კომუნიზმში, 21.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — დოკუმენტური კინოპროგრამა.

17 მაისი

პირველი პროგრამით

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთათვის „მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა“, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „კანონი და კანონიერება“, 19.00 — მოსწავლეთათვის — „პიონერული ფაცი“, 19.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბლომუსი“, 21.40 — სპორტული კვირეული, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მე-18 სერია (ქართულ ენაზე).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (მჟავა), ფუძე, მარილი და რეაქციები იონებს შორის. მეცხრეკლასელთათვის), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (ამოცანების ამოხსნა. მეათეკლასელთათვის), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 20.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში, 21.25 — „კინოფიშა“, 21.55 — მხატვრული ფილმი — „დაგვიანებული ყვავილები“.

თეატრები

16 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გუშინდელნი; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ნუ გეშინია, დედა!; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — არშინ მალ-ალან.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲙᲝᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ 60443 უე 02586

საკ. კპ (ბ)-ის კომომ(ეტ)ლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲯᲔᲠᲘᲜᲘ

ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ